ტფილისი

№ 211

1877

ივერია

№ 211

1093

ოკტომბერი 4, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 4, შაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

თ. ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილი მეუღლითა და შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვისის დედის

კნეინა ანასტასია სუმბათაშვილისას.

პანაშვიდები იქმნება ყოველ დღე ნაშუადღევის 1-სა და საღამოს შვიდ საათზე. გამოსვენება—შაბათს, 4 ოკდომბერს, დილის 9 საათზე წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში საკუთარის სახლიდან (მიხეილის ქუჩა № 148), დაკრძალვა—წმიდა ბარბარეს ქვემო ეკკლესიაში. (2—215—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე **ტარასი სიმონის ძე მომცველაძე.**

წარმოდგენა № 6. ტელეფონი № 617

ავლაბრის თეატრი

შაბათს, 4 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი

დრამა 5 მოქმ. აკაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, ა. ნ. ყიფიანისა, ნ. ჯავახიშვილი.

ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, სათვართვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი, იორდანაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: «ორი ობოლი».

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ქუთაისის საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ სწავლა პროგიმნაზიაში დაიწყება 2 ოქტომბრიდან 1903 წლისა.

პროგიმნაზია არის მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლში.

ხაფიცი ვექილი

გ. ი. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით).

მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსთა ოპერა

ანტრეპრიზა მისი უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 3 ოკდომბერს 1903 წელს

წარმოდგენილი იქნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი, ვალპურგის ღამით. ფაუსტის პარტიას შეასრულებს მისი უდიდებულესობის სოლისტი ნ. ფიგნერი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: არციბაშევა, ლელინა; ბ-ნნი ფიგნერი, სანგურსკი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი. კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: ხვალ, 5 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქმნება „ყიზნ ზა ცარია, ოპერა 4 მოქ. ეპილოგით, მუსიკა გლინკასი. ორშაბათს იაფ ფასიანი წარმოდგენა წარმოდგენილი იქმნება «რუსალკა», ოპერა 4 მოქმ. აპოთეოზით, მუსიკა დარგომიჟსკისა.

ბილეთები იყიდება.

თავმჯდომარე ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზე არსებულ ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს ტფილისის განყოფილების რჩევისა, თავ. ნ. ვ. არღუთაშვილი-მხარგრძელი უმორჩილესად სთხოვს სამზრუნველოს წევრთ მობრძანდნენ კვირას, 5 ოკდომბერს, 1903 წ., 12 საათზე, ტფილისის ყრუ-მუნჯთა სკოლასთან დაარსებულ თავშესაფარის კურთხევაზე (რიყის ქუჩა, გაბაშვილის სახლი, № 6) და დაესწრნენ ყრუ-მუნჯთა ბავშვების ეგზამენს. (3—უ—2)

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული

№№	სახელი და გვარი.	მ.	კ.
322	ეფემია ბ. ხელთუფლიშვილისა	6	—
323	ნინო პლ. მიქელაძისა	6	—
324	კონსტანტ. მ. შნეიდერი	6	—
325	მარიამ მ. ლოლობერიძისა	6	—
326	დავით ბ. ლოლობერიძე	6	—
327	ნიკოლოზ მ. მელიქიშვილი	6	—
328	ლეონიდე ივ. მაყაშვილი	6	—
329	სოფიო დ. ჩხარტიშვილი	3	—
330	ნატალია ალ. ლორთქიფანიძისა	2	—
331	ალექსი ქილაშვილი	6	—
332	ალექსი მირიანაშვილი	6	—
333	იაკობ მანსვეტოვი	6	—
334	ხასაი უცმიაშვილი	6	—
335	იაკობ ზედგინიძე	6	—
336	ალექსანდრე გ. გაბაშვილი	6	—
		83	

სულ წლის განმავლობაში 2403—35

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტ ფ ი ლ ი ს ი

⁂ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე ბ-ნი შულგინი და უფროსნ მოხელენი 5 ამ ოკდომბერს ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრებიან, სადაც უნდა დაათვალიერონ ის მამულები, რომლებიც სახელმწიფო ბანკის გამგეობაში არიან და აგრეთვე ამ ბანკში დაგირავებული მამულები, უმთავრესად სამეგრელოში და იმ ადგილებში, სადაც წელს მოუსავლობა იყო. ეჭვი არ არის, რომ ბ ნი შულგინი დარწმუნდება, რომ წელს ბევრს მამულის პატრონს თითქმის არავითარი შემოსავალი არა ჰქონია და მსესხებელს ვადიანის გარდასახადის შეტანა მეტად გაუძნელდება. უკეთუ ბანკმა შეღავათი არ მისცა მსესხებლებს და გარდასახადის შემოსატანად ვადა არ მისცა ან არ გაუნაწილა, საფიქრებელია, რომ ბევრი მამული თვით ბანკს დარჩება, ან სულ იაფად უნდა გაიყიდოს და მოუსავლობით დასჯილი მემამულე ცარიელზედ დარჩეს.

⁂ რედაქციამ გუშინ მიიღო ყოვლად სამღვდელო კირიონისაგან და გადასცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას 25 მანეთი შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად.

⁂ დაიბეჭდა და მალე დაურიგდება წიგნის მაღაზიებს გასასყიდად პირველი ნაწილი საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო წიგნთსაცავის კატალოგისა. პირველი და მეორე ნაწილი ამ კატალოგისა ერთსა და იმავე დროს იბეჭდებოდა სხვა-და-სხვა სტამბაში. მეორე წიგნი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, უკვე დაიბეჭდა, პირველი კი მხოლოდ ეხლა დამთავრდა.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით, რათა მოისპოს ავაზაკობა რკინის გზის ლიანდაგებზედ, ხელი უნდა შეუწყონ სამხედრო სამსახურს გარეშე მყოფ დაბალ ხარისხის ჯარის კაცთ, მთამომავლობით ბუნებრივ რუსთ, რომ კავკასიასა და ციმბირში იმსახურონ რკინის გზებზე. ამისათვის ამ ჯარის კაცთ აღარ გაიწვევენ სავარჯიშოდ, როგორც ამას სამხედრო კანონი მოითხოვს, რომ სამსახურს არ მოაცდინონ.

⁂ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქალაქის სამართველო აპირობს ახალი ქუჩა გაიყვანოს იოანე ღვთის-მეტყველის ეკლესიის ქუჩიდგან, ვერაზედ, ოლგას ქუჩისაკენ, და იქაური მამულის პატრონი მაკაროვი უთმობს ქუჩისათვის ნაჭერ მიწას, სიგანით 2 საჟენს, რის გამოც ქალაქის საბჭომ მადლობაც უნდა გამოუცხადოს. ეხლა ყორღანოვებსაც განუცხადებიათ ქალაქის გამგეობისათვის, ჩვენც უფასოდ დაგითმობთ ჩვენს მამულიდგან 50 საჟენ მიწას, ოღონდ კი ქუჩა გაიყვანეთო. გამგეობამ დაადგინა, შემოწირულობა მიიღოთ, საბჭოს მოვახსენოთ და შემომწირველთ მადლობა გამოვუცხადოთო.

⁂ კვირას, საღამოს 6½ საათზედ, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის დარბაზში, ახალ პედაგოგიურ საზოგადოების დამფუძნებელთა კრება იქმნება.

⁂ სახლის პატრონებს მოეხსენებათ, რომ მეზობლის ეზოსაკენ ფანჯრების დატანება კანონით არ შეიძლება და ამის გამო რავდენიმე ოთახი დაბნელებულია, უკეთუ ჭერიდგან ან სხვა ოთახებიდგან არა აქვს სანათური დაყოლებული. ეხლა ამ არა სასურველ გარემოებას წამალი მოუნახეს. ერთს სახლის პატრონს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, ნება მომეცით მეზობლის ეზოსაკენ შუშის კედელი ავაგო, რომ სინათლე შემოდიოდესო. ქალაქის გამგეობას ნება მიუცია, რადგან კანონი სახლის პატრონებს არ უშლის, რა მასალითაც უნდა იმ მასალით აიშენოს სახლიო.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ცნობებით, გორის მაზრაში, თავ. ვ. გ. მაჩაბლის ვენახებს, სოფ. თამარაშენს, ფილოქსერა გაჩენია. ეს სენი ცხინვალის ხეობის ზოგიერთ სოფლის ვენახებსაც მოსდებია. საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, ღონისძიება მიიღოს, რომ თამარაშნიდან ფილოქსერა სხვაგანაც არ გავრცელდეს.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს, მოაწყოს სამგზავრო წიგნთ-საცავები. ასეთი წიგნთ-საცავი მოთავსებული იქნება ვაგონში. წიგნები მიეცემათ სადგურებისა და სხვა მოსამსახურეთ სამ თვეში 20—30 კაპეიკად. ამ ვაგონმა საქონლის მატარებელთან ერთად ერთის კვირის განმავლობაში ამიერ კავკასიის გზა და იმისი შტოები უნდა მოიაროს.

⁂ გუშინწინ, 2 ოკდომბერს, ქალაქის გამგეობამ მიიღო ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებისაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს სატეხნიკო კომისიის მიერ განხილული და დამტკიცებული პროექტი ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ელექტრონით განათებისა. საგუბერნიო გამგეობამ გამოუგზავნა აგრეთვე წერილი, სატეხნიკო კომისიისაგან მიღებული, შესახებ იმისა, თუ სად და როგორ უნდა მოეწყოს უმთავრესი საელექტრონო სადგური.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი ამ თანამდებობას, სამწუხაროდ, თავს ანებებს. ბ-ნმა სულთან კრიმ-გირეიმ ამის შესახებ განცხადება უკვე შეიტანა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.

⁂ ქალაქ ტფილისს ამ ჟამად 18 პირველ დაწყებითი სასწავლებელი აქვს, სა-

დაც სულ 2246 ბავშვი სწავლობს. აქედან 863 რუსია, 730—სომეხი, 584—ქართველი და 69 სხვა ეროვნებისა.

შეცდომის გასწორება

გუშინდელს ფელეტონში (მეხუთე სვეტი, მე-17 სტრიქონი) შეცდომაა, რის გამოც აზრი აღარ გამოდის. დაბეჭდილია: თან ისტორიულის ვითარების წყალობით. ან და ერთგვარი თვისება. უნდა იყოს: თან ისტორიულის ვითარების წყალობით, ენა და ერთგვარი თვისება...

შეცდომითვე იყო „ივერიის" 208 ნომერში დაბეჭდილი ამბავი პოლენცის რომანის შესახებ. პოლენცის რომანს „გლეხს" სთარგმნის ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, თითქმის გაუთავებია კიდეც. ალექსი-მესხიშვილსვე გადაუთარგმნია ახალი პიესა, რომლის შინაარს შეადგენს ნაპოლეონ ბონაპარტისა და მისის მეუღლის ჟოზეფინას ცხოვრება, როდესაც ნაპოლეონი ჯერ ისევ კონსულად იყო.

შორეული აღმოსავლეთი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

შორეულს აღმოსავლეთს დიდს ყურადღებას აქცევენ ამ ჟამად ევროპის დიდნი სახელმწიფონი და ამერიკა-რუსეთის ძალ-ღონე ხომ დღეს თითქმის სულ აქეთაა მომართული.

დარჩება თუ არა ჩინეთის უდიდესი პროვინცია—მანჯურია—რუსეთს და რა პირობით—აი რა არის გამოსაცნობი. რუსეთს კი ეს საქმე დიდი ხანია გადაჭრილი აქვს. ის გარემოება, რომ რუსეთმა მანჯურიაში რკინის გზა გაიყვანა და მილიონები დახარჯა, ის გარემოება, რომ იგი აშენებს ქალაქებს და აგებს სიმაგრეებს—ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ რუსეთისთვის ძნელია შეელიოს ამ ქვეყანას, თუნდა ამისათვის ომიც დასჭირდეს.

როგორც ამბობენ, სამხედრო მინისტრი კუროპატკინი იმ აზრით იყო გამოგზავნილი, რომ აღმოსავლეთის სიმაგრენი დაეთვალიერებინა და რომ მისი პეტერბურგში დაბრუნება სამუდამოდ გადასწყვეტს მანჯურიის საქმესაო.

ომისავე მოლოდინის გამო, რუსეთმა ბაიკალის რკინის გზა გაიყვანა და აღმოსავლეთში თავისი ჯარი შეაგროვა და აგროვებს კიდევ. სამხედრო ხომალდები ხომ ბლომად შეჰკრიბა აღმოსავლეთ ოკეანეში. იმ აზრს, რომ მანჯურია რუსეთს უნდა დარჩეს, ზოგიერთი სახელმწიფო უკვე შეურიგდა და დანარჩენებიც ურიგდებიან.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო; ჩინეთი, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტს ჰკარგავს, აქამდისაც უძლური იყო და შინაური განხეთქილება ხომ დღეს გარეშე ომისთვის უფრო მეტს ძალასართმევს. მანჯურიის დინასტიის გამოცვლა, რომელმაც ჩინელებს თავი მოაბეზრა, დღეს ჩინეთისთვის უფრო მეტს ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე მანჯურიის დაკარგვა. ესეც რომ არ იყოს, განა რა შეუძლიან დახავსებულ ჩინეთს ძლიერ რუსეთის წინააღმდეგ!..

იაპონია, რომელიც ამ საქმეში ისე თავგამოდებული იყო, დღეს თითს იკაკვნის. რუსეთთან ომის მოწინააღმდეგე დასი იაპონიაში იმ აზრისაა, რომ მანჯურიის დაკარგვა პირდაპირ ჩინეთის დამცირებათ უნდა ჩაითვალოს და არა იაპონიისა. იაპონიის ზრუნვა დღეს უფრო ისაა, რომ კორეა, რომელიც ეკონომიურად თითქმის იაპონიას ეკუთნის, პოლიტიკურადაც ხელთ იგდოს და, თუ რუსეთი ამაში ხელს არ შეუშლის, მანჯურიის წინააღმდეგ იაპონელებს თითქმის არაფერი არ ექნებათ, თუმცა, რასაკვირველია, რუსეთის შემოსვლა მანჯურიაში იაპონიის კორეაში ბრძანებლობისათვის მუდამ საშიში იქნება. ამიტომ იაპონელები უნდა ჰგრძნობდნენ, რუსეთმა იაპონიას დღეს კორეა რომ დაუთმოს კიდეც, ეს დიდხანს არ გაგრძელდება და კორეა, მანჯურიის შემდეგ, ადრე თუ გვიან, ისევ რუსეთისა შეიქნება.

ამის ნიშნები ახლავე სჩანს. რუსეთი კორეაშიაც მიიწევს და ისიც თავისთვის უნდა. კორეა კი იაპონელებისთვის აუცილებლად საჭიროა. პატარა მთიანი კუნძულები თავის მცხოვრებლებს ვეღარ იტევს და თუ ამ რამდენისამე ოცის წლის წინად იაპონია მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მის სამეფოში არავინ შესულიყო, დღეს იგი თვით გამოდის გარედ. იაპონიის ემიგრაცია კორეაშია მიმართული.

ამგვარად, რუსეთისა და იაპონიის შეტაკება, ადრე თუ გვიან, უეჭველად მოსალოდნელია. იაპონიას ეშინიან, რუსეთი საზღვართა გაფართოებისათვის, კორეას კი არა, მონგოლიასა და ტიბეტსაც არ მიადგესო, იქნება მთლად ჩინეთსაცაო. ჯერ საჭიროა, რომ რუსეთმა მანჯურიაში ფეხი მაგრა მოიკიდოს...

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს—ინგლისსა და შეერთებულ შტატებს, იქნება მათთვის სასიამოვნო არ არის რუსეთის ასეთი ზრდა, მაგრამ ეს მაინცა და მაინც იმდენად არ აწუხებთ და ამას მუდამ შეურიგდებიან. უფრო საინტერესოა მათთვის ეს საქმე ეკონომიურის მხრივ. ნაწარმოებთა ბაზრის გაფართოება აქაც ეჩხირება. თუ პოლიტიკურად მანჯურია რუსეთისა იქმნება, უცხოელები ცდილობენ ეკონომიურად მაინც მათ დარჩეთ. მათი უმთავრესი პირობა ის არის, რომ თავისის აღებ-მიცემობის ინტერესები მანჯურიაში დაიცვან. თუ ეს ასრე მოხდა, უცხოელთ იმედი აქვთ, რუსეთის ვაჭრობა უცხოეთისას ვერც აქ გაუწევს კონკურენციას. ზოგიერთი მათგანი იმ აზრისანიც-კი არიან, რომ მანჯურიის რუსეთის ხელში გადასვლა სასარგებლოც-კი არის. მათის სიტყვით, მანჯურია ისევ ჩინეთის ხელში რომ დარჩენილიყო, იქ ვაჭრობის განვითარება ისე არ შეიძლებოდა, როგორც ახლა, როდესაც რუსეთმა რკინის გზა გაიყვანა და მთელ მანჯურიაში, ამ ველურ მხარეში, ვაჭრობა-აღებ-მიცემობისთვის დიდად საჭირო წეს-წყობილებას ამყარებს.

ეს ასეა, მაგრამ საქმე ის არის, იბატონებს მანჯურიაში ეკონომიურად ევროპა და ამერიკა თუ არა? როგორც ფაქტები ჰმოწმობს, ამერიკიდგან ნავთის შემოტანამ მანჯურიაში დღესვე იკლო. ნობელმა ნავთის განყოფილებანი დააარსა ხარბინსა, პორტ-არტურსა, დალნისა, მუკდენს და მანჯურიის დანარჩენ უმთავრესს ადგილებში. უეჭველია რუსეთის ნავთი შემდეგ სრულიად განდევნის ამერიკისას.

ნავთის გარდა ამერიკიდგან უმთავრესად კიდევ ფქვილი და ბამბეულობა შემოაქვთ. ფქვილი ახლავე იდევნება მანჯურიის ბაზრიდგან და, როდესაც მანჯურიის ნაყოფიერი მინდვრები დამუშავდება, მაშინ სულ განიდევნება. ამერიკის ბამბეულობასაც ამ ცოტა ხანში იკლო *). თვით მანჯურიაც შემდეგ საკმარისს ბრძოლას გაუწევს უცხო ვაჭრობას. ეს პროვინცია ბუნებით ძალიან მდიდარია. ოქრო-ვერცხლის მადნები, ფართო მინდვრები პურის მოსაყვანად,—აი მისი უმთავრესი სიმდიდრე. მომავალში მანჯურია მთლად გაცოცხლდება და მისი სიმდიდრე დამუშავდება, თუ უცხო კაპიტალი იპოვნის აქ ფართო ადგილს, რადგანაც რუსეთის კაპიტალი ერთობ უძლურია..

ამგვარად, ისედაც უშველებელი რუსეთის სახელმწიფო უფრო მეტად იზრდება და ფართოვდება; ნახევარი ევროპა და აზია ახლა მის ხელშია. სადამდე წავა ეს მისის ტერიტორიის ზრდა, შეესაბამება შინაური ზრდა გარეგანს, და თუ არა, ხელს შეუშლის ეს მის გაფართოებას თუ არა, ამას მომავალი დაგვანახვებს...

შორეულ აღმოსავლეთში თავის ინტერესების დასაცველად იაპონელთა და ინგლისელთაგან რუსეთის მთავრობას სურს ორი ორგანო დააარსოს შანხაისა და პორტ-არტურში. რედაქტორებად ასახელებენ სულ ახალგაზრდებს, წელს აღმოსავლეთ ინსტიტუტში კურს-შესრულებულთ...

ახალ შეძენილს მხარეს დიდი მოწყობა დასჭირდება. მისი მართვა შორეულ პეტერბურგიდგან ერთობ მოუხერხებელი იქნებოდა. ამიტომ მთავრობამ შორეულ აღმოსავლეთში „ნამესტნიკობა" დააარსა. ნამესტნიკად დაინიშნა, როგორც მოგეხსენებათ, პორტ-არტურის ადმირალად ნამყოფი ბ-ნი ე. ალექსეევი. როგორც ამბობენ, ნამესტნიკის რეზიდენციად ქ. ვლადივოსტოკი იქნება. თუ ეს ხმა გამართლდა, ვლადივოსტოკს კარგი ბედი მოელის: ერ დღეს მცირე ქალაქი, მეტად აღყვავდება და გაიზრდება...

ვ. ლ—იაძე.

ქ. ვლადივოსტოკი.

ჩვენებური ამბები

ბათუმი. სექტემბრის 29 მეორე სხდომა ჰქონდა ბათუმის საბჭოს. ამ სხდომაზე საბჭოს უნდა მოესმინა, სხვათა შორის, გამგეობის მოხსენება: ღამის თავშესაფარის, ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის და კაითბეგ ხიმშიაშვილის თხოვნის შესახებ.

პირველის შესახებ არა ერთხელ ჩამოვარდნილა აქაურ საბჭოში ლაპარაკი და აი რათა: როგორც მოგეხსენებათ, ამ სამრეწველო ზღვის პირის ქალაქში მრავალი ღარიბ-ღატაკი და ბოგანო ხალხი იყრის თავს ყოველ მხრიდან ბედის საძებნელად, რომელთაც არამც თუ სადგომის ქირაობის, არამედ პურის ფულის მოხერხებაც არა აქვთ. ასეთის ხალხისათვის თუ სხვას ვერასფერს მოახერხებს დღევანდელ გარემოებაში ქალაქის თვითმართველობა, ის მაინც უნდა ჰქმნას, რომ ღამის გასათევი და იაფფასიანი საჩაიე-სასადილო გაჰმართოს, რათა ამ ცხოვრებისაგან გარიყულთა გაჭირვების სიმწვავეს ოდნავ მაინც მალამო დასდოს. მართალია, აქაურმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ დააარსა ღამის თავ-შესაფარი, მაგრამ რადგან ხსენებულ საზოგადოებას შეძლება ნაკლებადა აქვს, მეტად უჭირს მისი შენახვა. ამას ხელ ერთვის მისი სივიწროვე და შეუფერებელი ადგილის არსებობა; ამიტომ ღატაკ ხალხის გულშემატკივრებმა საბჭოში ჩამოაგდეს ლაპარაკი რიგიან თავშესაფარის დაარსების შესახებ, რამაც აქამომდე ბევრი დაბრკოლება განიცადა და ახლა-კი, როგორც იქნა, საიმედო გზას დაადგა. ქალაქის თავმა თ-დ ი. ანდრონიკაშვილმა წარუდგინა საბჭოს საამშენებლო და ტეხნიკოსთა კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ხარჯთ-აღრიცხვით, რაც მიღებულ იქმნა საბჭოს მიერ. თავშესაფარი უნდა აიგოს ეგრედ წოდებულ „გოროდოკში" ბარცხანისკენ მუშების რაიონში და უნდა დაჯდეს 35,000 მანეთამდე.

თუ რამდენად სასურველი და სამადლო საქმეა ამ განზრახვის მალე განხორციელება, სჩანს იქიდგანაც, რომ ბ-ნ ქალაქის თავის განმარტებით, არსებულ საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარში 2 წლის განმავლობაში 1000 კაცამდე გაჭირვებულ ღარიბ-ღატაკს გაუთევია ღამე; მათ შორის ნახევარი სულთმობრძავი ავადმყოფი ყოფილა.

გამგეობის ახალმა წევრმა ბ-ნმა ჟურულმა წაიკითხა მოხსენება ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობის და იმის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესახებ. ამ მოხსენებამ დიდად იმოქმედა, როგორც ხმოსნებზე, ისე გარეშე მაყურებლებზედაც. ასეთი სურათი მუშათა კვარტალის ანტისანიტარული მდგომარეობისა და მუშათა ანტიჰიგიენურ ცხოვრებისა შეუძლია დაჰხატოს მხოლოდ ხალხის ნამდვილმა გულშემატკივარმა და საქმით დაინტერესებულმა ადამიანმა. ბ-ნ ჟურულს, როგორც სჩანს მის მოხსენებიდან, აგვისტოს პირველ რიცხვებშივე, როცა შესდგომია თავის თანამდებობის აღსრულებას, სასანიტარო ექიმის ბ-ნ ბეთანოვის თანადასწრებით, დაუვლია და დაუთვალიერებია ქალაქის მეოთხე ნაწილი, დასახლებული უმთავრესად ღარიბ-ღატაკ ხელმოკლე მუშა ხალხით; აქ უნახავს და აღმოუჩენია იგი, რასაც ბ-ნმა სევალმა, ქუთაისის ექიმმა, ჩინებული წერილები უძღვნა ერთის წლის წინად. ბ-ნ ჟურულს უნახავს, თუ რანაირ ჰაობიან ადგილებში, რა ნოტიო-ფარღალალა ხის ქოხმახებში სცხოვრობენ „შრომისა შვილნი"; უნახავს და დარწმუნებულა, რომ როგორც ქუჩები, ისე ეს ქოხმახები ყოვლად ანტისანიტარულ ყოფაშია, რომ ყოვლად შემაძრწუნებელი სურათი ეხეტება ადამიანს, რომ მათში ცხოვრება წარმოუდგენელია. გაუგია ისიც, თუ ასეთ „ბინების" პატრონები რა ულმერთო ფასად აძლევენ ქირით მუშებს და კიდევ ბევრი სხვა... ბ-ნმა ჟურულმა დასძინა, რომ არც ქალაქის სხვა ნაწილებშია მაინცა და მაინც სანატრელ სანიტარულ ვითარებაშიო. თუნდა ავიღოთ ქალაქის შუაგულს ნურიის ბაზარში არსებული ფეხის ადგილი, რომელიც საშინლად აფუჭებს ჰაერს გარშემო. ქალაქის ასეთი ანტისანიტარულ მდგომარეობის წინააღმდეგ უნდა ღონისძიება იქმნეს მიღებული უსათუოდ, თუ რომ არ გვინდა სხვა-და-სხვა გადამდებ სენთა ბუდეთ იქცეს ჩვენი მშვენიერი ქალაქი, რომელიც თავის მდებარეობით და ჰავით კლიმატიურ სადგურს უნდა წარმოადგენდესო. ღონისძიებანი რადიკალურიც არის და პალიატიურიც. პირველისათვის, ჩვენის აზრით, როგორც სხვა ევროპიულ კეთილ-განწყობილ ქალაქებში, საჭიროა კარგად მოწყობილი კანალიზაცია, ურომლისოდაც ბათუმის სანიტარულ მდგომარეობის სასურველ ნიადაგზე დაყენება ყოვლად შეუძლებელია. ამ საქმის განხორციელებას, ბათუმის ტოპოგრაფიული მდებარეობა მეტად აძნელებს, მაგრამ დაუძლეველი არა არის-რა. საჭიროა მოვუწოდოთ ამ საქმეში დახელოვნებულ სპეციალისტს პროექტის შესადგენად, რისთვისაც უნდა გადიდვას 8000 მ., მაგრამ, რადგან წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია, იგი გავყოთ ორ ნაწილად, ნახევარი 1904 წ. და მეორე 1905 წელს გადიდვას, რომ იქით მერმისის ბოლოს, კანალიზაციის პროექტი დამზადებული ხელთ გვეჭიროს, რათა შეგვეძლოს ამ საქმის განსახორციელებლად თანხა გამოვნახოთ და საქმეს შევუდგეთ, ამ ჟამად-კი, რომ ქალაქის სანიტარული ვითარება ოდნავ მაინც გავაუმჯობესოთ, საჭიროა: 1) კიდევ ერთი სასანიტარო ექიმი და ერთი ფერშალი დავიჭიროთ, 2) შესდგეს სასანიტარო სტატისტიკური ბიურო, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მხრივ, თუ რა გარემოებაშია ქალაქის რომელიმე ნაწილი და 3) (რაც უმთავ-

---

*) იხ. გაზეთი «Дальній Востокъ» ამ წლის № 182, მოწინავე წერილი „Торговля Манчжуріи".

ფელეტონი

უცხოეთა შორის.

ფაბიანელთა პოლიტიკური საზოგადოება.—ვინ არიან ფაბიანელნი?—ფაბიანნი სოციალისტები და ნამდვილი სოციალისტები.—როგორ იქცევა ლონდონის „მეტიჩარა" პოლიცია მუშათა მანიფესტაციისა და არეულობის დროს.—ფაბიანელთა მიტინგი.—სალიტერატურო-სათეატრო კრიტიკოსი არჩერი.—ინგლისის დრამა.—თეატრი.—იურისტი პრეზიდენტი რუზველტი მწყემსადა და მონადირედ.

ლონდონის პოლიტიკურ საზოგადოებათა შორის ფაბიანელთა საზოგადოება ერთი ყველაზედ უფრო საყურადღებო საზოგადოებათაგანია. მისნი წევრნი თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ, მაგრამ სოციალისტებს, სხვანაირად მონათლულს, სხვა ჩრდილში ამოფარებულს. ამიტომ მათ ნამდვილი სოციალისტები ვერ ურიგდებიან და ხშირად შეხირებაც მოსდით,—სოციალისტებს რად უწოდებთ თქვენს თავსო; ამით სიტყვას „სოციალისტს" შეურაცხყოფას აყენებთო და ხშირად ჰკიცხავენ ერთი მეორეს თავ-თავიანთ ორგანოებში წარმოიდგინეთ, ნამდვილი სოციალისტები ფაბიანელ „სოციალისტებს" უფრო ემტერებიან, ვიდრე ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

ფაბიანელები გაიძახიან, ყველაზედ უფრო მუშათა საქმე გვაინტერესებსო, მაგრამ მათ წევრთა შორის ძნელად ჰნახავთ ისეთ კაცს, რომელიც თავისის ოფლითა პატიოსანის შრომითა და მარჯვენით ირჩენდეს თავს და ამგვარად შოულობდეს ლუკმა პურს. ფაბიანელნი თავიანთ თავს „პოლიტიკისათვის მებრძოლთ" უწოდებენ, მაგრამ ძალიან შორს გაურბიან მუშათა მოძრაობას და ჰკიცხავენ კიდეც.

მუშები მანიფესტაციებს მართავენ და ავრცელებენ მუშათა აზრს. ლონდონის პოლიცია-კი მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს ამ მანიფესტაციებს; ვთქვათ, ერთ-ერთ ქუჩაში მუშებმა აგიტაცია დაიწყეს; პოლიცია ამ ქუჩის კუთხეშივეა და ყურსაც არ იბერტყავს. მხოლოდ მაშინ ჩაერევა საქმეში, თუ ვინიცობაა ხელჩართული ჩხუბი გაიმართა აგიტატორთა შორის და ვინმე დაიჭრა; ჩაერევა მაშინ, მაგრამ მხოლოდ მოზავედ და ხშირად მოზავეს უფრო მეტი მოჰხვდება და ხანდახან თავპირ დასისხლიანებული გამოდის ხოლმე მუშათა ბრძოლიდან. ამნაირს შემთხვევაში ინგლისელი აგიტატორი მუშები პოლიციას „მეტიჩარას" ეძახიან. ფაბინელი „სოციალისტები" კი ამნაირს აგიტაცია-მანიფესტაციასაც ცხრა მთას იქით გაურბიან და „შავის ხალხის ალიაქოთს" უწოდებენ. როცა ფაბიანელთა კრება იმართება, ვინც ამ კრებას დაესწრება გარეშეთაგანი, ასე ჰგონიათ, შუათანა კლასის ჯგუფს შუა ვართ, კარგად აღზრდილ, კეთილ-მოსურნე, განათლებულ, ცრუ-მორწმუნეობისაგან განშორებულთა შორის, რომელთაც აინტერესებს მხოლოდ დღიური ცხოველი საგნები, ბრძნულად წარმოთქმული, უფრო ჭკუა-დახვედრულად ნათქვამი და არა უცაბედად წამოსროლილი აზრი; აი ასეთ კაცთა შორის ჰგრძნობს თავს გარეშე, მათს კრებაზედ დამსწრე კაცი.

თუმცა ნამდვილად არც ერთს კლასს არ ეკუთვნიან ფაბიანელნი, მაგრამ მაინც საკმაოდ მიმზიდველი ნაწილია ინგლისის საშუალო კლასისა. საზოგადოებას წევრნი ძლიერ ბევრი არა ჰყავს, მაგრამ მათ შორის არიან სახელისა და ნიჭის პატრონი კაცებიც. საზოგადოების სულის ჩამდგმელად ითვლება ჯორჯ ბერნარ შო. ვინც მისი კარგი მეგობარი არ არის, მეტი სახელი გამოუგონეს და ეძახიან „ფაბიანელთა სასახლის მასხარას", რადგანაც ყოველ საყურადღებო საკითხის შესახებ იუმორის კილოთი დასწერს ხოლმე მოხსენებას და წარუდგენს საზოგადო კრებას. ამასთანავე შო ლიტერატორიც არის. მან დასწერა 1900 წ. ერთი საყურადღებო და რჩეული პამფლეტი ამ სათაურით: «ფაბიანიზმი და იმპერია», რომელმაც დიდი და მწვავე კამათი გამოიწვია რადიკალთა და სოციალისტებს შორის. ამ თხზულებაში ბ-ნმა შომ ფაბიანელებს დიდი ბრალდება მოახვია თავს და აშკარად ამბობდა: ფაბიანნი თავისს ტრადიციებს ჰღალატობენო.

საზოგადოების მეორე ბურჯად ითვლება სიდნეი უებბი, ავტორი „ტრედ-უნიონიზმის ისტორიისა" და „მრეწველ დემოკრატიისა". სიდნეი უებბი შოს ბევრად ჩამოუვარდება ნიჭით: ცუდი ორატორია და ენა ბლუ; მისი ღირსება ის არის, რომ გაიგონებს, მაგალითად, სხვის აზრს და მაშინათვე თვითონ დაიწყებს იმაზედ სიტყვის წარმოთქმას, ვითომდა ჩემი საკუთარი აზრი და მიმართულებააო, მაგრამ ბევრად ავტორზედ უკეთესად განმარტავს.

სხვა ცოტად თუ ბევრად შესანიშნავ წევრთა შორის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ეკონომისტი ჯონ გობსონი, სოციალისტი მღვდელი სტიუარტ გედლამი, სახალხო განათლების მომხრე-მოღვაწე გრეჰემ უოლლასი, ავტორი საყურადღებო წიგნისა «ფრენსის პლესე» და შოტლანდიელი პროფესორი ბერძენთა სიტყვიერებისა გილბერტ მიორრი.

რას აკეთებენ ეხლა ფაბიანნი, რას მისდევენ ისინი?—ამის პასუხი მაინცა და მაინც ძნელი არ არის. დროგამოშვებით ისინი ჰბეჭდავენ პატარ-პატარა ფურცლებსა და მოზრდილს ბროშიურებს; ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით, შეიკრიბებიან ერთად, მოისმენენ მოხსენებას ამა თუ იმ საგნის შესახებ, ამხანაგურად განიხილავენ და თითო ჭიქა ჩაისაც-კი არ დალევენ და ისე დაიშლებიან.

ფაბიანებს ბევრი წევრი არა ჰყავთ არა ჰყავთ არც ერთი წარმომადგენელი საზოგადოებათა პალატაში და თითქმის არცკი ოცნებობენ იყოლიონ საკუთარი წარმომადგენელი. ამიტომ ისინი არ შეადგენენ განსაკუთრებულს პოლიტიკურს დასს. თითქმის ყველა იმათგანი საშუალო კლასს ეკუთვნის, მაგრამ ძალიან ცოტა მომხრენი ჰყავთ.

1901 წლის ოკდომბერს გაზ. „დეილი ნიუს"-ში იბეჭდებოდა საყურადღებო წერილები ფაბიანელთა უნაყოფობის შესახებ. წერილების ავტორი იყო ცნობილი მარქსისტი ბელფორტ ბაქსი, რომელმაც კარგად ახსნა მოუფიქრებელი დამოკიდებულება უკიდურეს ხალხთა თანამედროვე ფაბიანელებთან. ბაქსმა გამოაცხადა, ფაბიანნი სრულებით სოციალისტები არ არიან; ისინი სულით და გულით უფრო ბიუროკრატები არიანო. საზოგადოების უმთავრესნი წევრნი იყვნენ და არიან უმეტეს ნაწილად სამოქალაქო სამსახურში, მაშინ, როდესაც ასეთი სამსახური სოციალისტთათვის სამარცხვინო სამსახურად უნდა ითვლებოდესო. სოციალიზმი ბევრად არ აინტერესებთ და ჰგონიათ, რომ სოციალისტობა ფოსტაში იშოვებოდეს, ან კიდევ ქუჩაშიო!. ბურებთან ინგლისის ომს ისინი იმიტომ უფრო იხსენიებდნენ ქებით, რომ სამხრეთ-აფრიკაში მათთვის ახალი ჯამაგირები გამოჩნდებოდაო...

⁂

შარშან, 25 ოკდომბერს, ვილიამ არჩერმა, ცნობილმა სათეატრო და სალიტერატურო კრიტიკოსმა, მოხსენება წაიკითხა ფაბიანთა კრებაზე ინგლისის დრამის შესახებ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში. არჩერი გამოტეხით ამბობს, რომ სამოც და ათიან წლამდე ინგლისელებს არ დაუწერიათ არავითარი საკუთარი, ორიგინალური სადრამო ნაწარმოები, მხოლოდ გადმოაკეთებდნენ ხოლმე ზოგიერთ მსუბუქ და თითქმის უაზრო ვოდევილებსა, ოპერეტებსა და „მეორე იმპერიის" კომედიებსაო. მაგრამ შემდეგ გამოჩნდენ ორიგინალური კომედიის მწერალნი (musical comedy ჰნიშნავს ვოდევილსა ანუ ფარსს მუსიკითურთ; როგორაც ყურს ეხამუშება, რომ ლიტერატორი-კრიტიკოსი ამნაირს ნაწარმოებს ხელოვნების ნიმუშადა სთვლის). მას შემდეგ თეატრის მომავალს სვე-ბედზე დიდი გავლენა იქონია რკინის გზათა გამრავლება-განვითარებამ და ლონდონის უზომოდ გაძლიერება-გადიდებამ. პროვინციის სცენები ჰკარგავენ სრულიად თავისს ორიგინალობას და ლონდონის თეატრებს ჰბაძავენ ყველაფერში; ამ სცენებზე ხშირად თამაშობენ ლონდონიდან გზად გავლილი დრამატიული და საოპერო დასები, რომელნიც მოგზაურობენ სხვა-და-სხვა პროვინციალურ ქალაქებში. ეს და-

რესის) შემდეგ ქალაქის სამსახურში მყოფ და ხმოსან ექიმთ და ბეითალთაგან საექიმო და სასანიტარო საბჭო რომელიც უნდა იქმნეს ხელმძღვანელი და მმართველი სავაადმყოფოსი, სანიტარულ ჰიგიენიური სადგურისა, სტატისტიკური ბიუროსი და სადეზინფექციო კამერისა. რათა ყოველივე ეს პირნათლად შეასრულოს, საბჭომ უნდა იქონიოს დროგამოშვებითი გამოცემა საექიმო და სასანიტარო კრებული.

ეს ვრცელი, მეტად საინტერესო და საფუძვლიანი მოხსენება ბ-ნ ჟურულისა გამგეობის მოწონებით მიღებულ იქმნა საბჭოს მიერ.

პირველი დებიუტი ჩვენის ქალაქის თვით მართველობის ასპარეზზე ბ-ნის ჟურულისა უცილობელი ნიშანია, რომ იგი ამ სარბიელზე დიდს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და ვუსურვოთ ესახელებინოს მისი ამრჩევლები და გაემართლებინოს ჩვენი იმედი.

ორიოდე სიტყვა კაიათ ბეგ ხიმშიაშვილის (აჭარელია) თხოვნის შესახებაც. მოგეხსენებათ, რომ მალა გახსნილ ყასბების უცერემონიო საქციელმა ხორცის ნიხრის შესახებ, ქალაქის თვითმართველობა აიძულა, რომ ამ უკანასკნელს საქალაქო ხორცის სავაჭრო დაეარსებინა. ვაჭრობა დაიწყეს მით, რომ ყიდულობდნენ საქონელს, ჰკლავდენ და ჰყიდდნენ. ასეთმა საქმის წარმოებამ პირველ ხანებშივე დიდი ზარალი მისცა ქალაქს. შემდეგ მიჰმართეს სხვა ხერხს, ე. ი. ყიდულობდნენ მდიდარ ყასაბთაგან ფუთობით და ჰყიდდნენ. ამ რიგად, თუმცა აღარ ზარალობდნენ, მაინც ხორცის ვაჭრობა თავის დანიშნულებას ვერ აღწევდა, როგორც ნიხრის რეგულიატორი.

ეს ერთი ხანია, გამგეობა პირობით შეეკრა ბეგს ხიმშიაშვილს, რომ ამ უკანასკნელმა ხორცი უნდა აძლიოს განსაზღვრულ ფასად, ე. ი. ფუთი 3 მ. და 20 კ. და აძლევს კიდეც. ამ ხნის განმავლობაში ქალაქის ხორცის სავაჭრომ წინანდელი ნაზარალევის ოთხი მეხუთედი ამოიგო, მაგრამ ახლა ხორცის მძლეველმა ხიმშიაშვილმა თხოვნა შეიტანა საბჭოში, რაც ხანი ხორცს გაძლევთ, პირობის ძალით, ფუთს 3 მ. და 20 კ., მას შემდეგ ფუთზე 80 კ. ვზარალობ, რაც შეადგენს 2,000 მანეთამდეო, და გთხოვთ შემეწიოთ და ზარალი აღმიდგინოთო. გამგეობას სასურსათო კომისიის დახმარებით გამოუკვლევია ეს საქმე და აღმოჩენილა, რომ ხიმშიაშვილს მართლა უზარალნია, მაგრამ ფუთზე არა 80 კ., არამედ სამ აბაზამდე, რაც შეადგენს 1200 მან. გამგეობამ წარუდგინა თავის აზრი საბჭოს, თუმც ასეაო, მაგრამ, რადგან ქალაქს სალარი არა აქვს და ვერც შეიწყნარებს ამ სახით ხიმშიაშვილის თხოვნას, გამგეობა ამ აზრს დაადგა, რომ წლევანდელ მოგების ნაწილი მივცეთო. ეს აზრი საბჭომ შეიწყნარა. აგრეთვე საბჭომ შეიწყნარა, გამგეობისვე წინადადებით ქალაქის საყასბოს მუშების კვირა-უქმე დღეებსა და დიდ დღესასწაულებში ოკტომბრის პირველიდან აპრილამდე შესვენება.

ონ—ლიძე.

კავკასია

ს. სარიყამიშიდან—ყარსამდე დილის 10 საათზე 18 სეკტემბერს, ომნიმუსში ვიჯექი და ყარსისაკენ მივემგზავრებოდი, მაგრამ სანამ ომნიმუსში ჩაჯდომა მეღირსებოდა, მთელი ერთი საათი ვიდექით შუა ბაზარში და ერთი აყალ-მაყალი იყო.

ეს საქმე რაშია: სარიყამიშიდან ყარსამდე დადის სახელმწიფო დილიჟანი—ომნიმუს-ფაეტონები და სომხებისა. დახეთ ამათ თავ-გასულობას, რომ თვითო ომნიმუსში, სულ მეტი რომ ვიანგარიშოთ, ჩაეტევა 10 კაცი, ორიც მიუმატოთ იქ, სადაც „ბუხერი“ ზის, შედგება 12 კაცი, ჩვენ „ომნიმუსში-კი 18 კაცი ჩაჯდა. მიკუნჭული ვიყავით ერთი-მეორეზე, გასანძრევი ადგილი არ იყო და ცხენების საცოდაობას ხომ ვიღა დაეძებს; მაგრამ ეს ვაჟბატონები, ვინც ბილეთს მოსთხოვს (ბილეთი ღირს ზაფხულობით 1 მ. 20 კ.), ყველას აძლევენ (ხათრს არ უტეხენ) და იმას არ უყურებენ, ჩაეტევიან თუ არა ომნიმუსში ყველანი. როგორც იყო დიდის წვალებით და შეწუხებით წამოვედით, მაგრამ გზაშიც შიში გვქონდა. ამ რიგად დატვირთული მაღალი ომნიმუსი ისე გადაქანა-გადმოქანებოდა, რომ კინაღამ ხრამში არ გადავცვივდით. 15 ენკენისთვეს ამ რიგად დატვირთული ომნიმუსი, სარიყამიშიდან მიმავალი, გადავარდა ხრამში და ერთი ალექსანდროპოლელი სომეხი იქვე მოკვდა, ხოლო მეორე, ძალზე დასახიჩრებული, ყარსის საავადმყოფოში გაგზავნეს.

ცხენების დასასვენებლად გზაზე ორი სადგურია: ერთი სელიმი, მეორე ბეგლი-ახმედი და ყარსი.

მოვდიოდით და ჩემ ყურადღებას იპყრობდა გზის პირად მდებარე სოფლები, სადაც გაცხარებული მუშაობა იყო: სად ქერს და პურს ანიავებდნენ, სად თივას აგროვებდნე, სად მიწის სახლებს ლესავდნენ ტალახით და ზამთრისთვის საქონლის პატივის წივას ამზადებდნენ. დიდი-პატარა, ქალია თუ კაცი, ყველა მუშაობაში იყო ჩაბმული.

სარიყამიშს რომ გამოსცილდებით, პირველი სოფელია იალ-ბასანი. ეს თათრული სიტყვაა, ნიშნავს იალ (ერბო) ბასანი (ჭურჭელი სავსე) —ერბოთ სავსე ჭურჭელი. როგორც სჩანს, წინად თათრებს ბევრი ჯოგი ჰყავდათ საქონლისა და ერბოს ამზადებდნენ ბლომად. ახლა სცხოვრობენ იქ ბერძნები, რომელთაც აქვთ კარგი ქვის ეკლესია, ერთკლასიანი სკოლა და სასოფლო მმართველობა. შემდეგ შეგხვდებათ მეორე სოფელი — ჩათახი, სადაც ბერძნები სცხოვრობენ; წინად ამ სოფელსაც იალ-ბასანი ერქვა, მაგრამ შემდეგ-კი ჩათახი დაარქვეს; ედი-ქილისა, ედი —(შვიდი) ქილისა (ეკლესია); ეს სოფელი წინად ქართველებისა იყო და შვიდი ეკლესია ჰქონდათ აშენებული; ქართველების შემდეგ სომხებმა დაიჭირეს. ეხლა-კი დეგები სცხოვრობენ; ელქეჩმაზი. ელ (გზა) ქეჩმაზ (გაუვლელი), სცხოვრობენ—ბერძნები; ყარა-ჰამზა, ყარა (შავი) ჰამზა (სახელი) ამ სოფელში სცხოვრობენ თათრები. სელიმი (სახელი), ეს სოფელი მალაკნებით არის დასახლებული; ამ სოფლის სიგრძე 1½ ვერსია. მშვენიერი თეთრად შელესილი შენობანია. არის სკოლა და სელიმის სასოფლო მმართველობა; უფრო ევროპიულ სოფელს მოგაგონებთ. მდიდარი სოფელია. აქაური მალაკნები განთქმულნი არიან [illegible] მუშაობით: თითქმის ყველას «ფურგონები» ჰყავთ და ქარით საქონელს ეზიდებიან ყარსისა და სარაყამიშს შორის. ყოველნაირი ხელოსნობა იციან: მჭედლობა, ხუროთ მოძღვრობა და სხვა. ბეგლი-ახმედი; სახელი და გვარი; სცხოვრობენ სომხები; დიდი ტიკიმა მალაკნები; პატარა ტიკიმა — მალაკნები; უკანასკნელი სოფელიც ვლადი კარს (ყარსი დაიპყარ) **владѣй Карсомъ** და ყარსი. ვლადიკარსიც მდიდარი სოფელია და იქაც მალაკნები სცხოვრობენ; ვლადიკარსიდან ცოტა მოშორებით, განზე სამხრეთით და ჩრდილოეთით ორი სოფელია: დიდი და პატარა ესტონკა, სადაც ესტონელები სცხოვრობენ. ამათ საპნის სახარშავი ქარხანა აქვთ; ამ სოფლების შესახებ უკვე იყო დაბეჭდილი «ივერიაში» კორესპონდენცია. ყველა ზემო აღნიშნულ სოფლებში, გარდა იმ სოფლებისა, სადაც სომხები სახლობენ, სკოლაა, ხოლო სამკითხველო-კი არც ერთ სოფელში არ არის. მოდიხარ გზაში მაგრამ მოთმინება აღარა გაქვს, გინდა მალე მიხვიდე ყარსში რადგან შენს ყურადღებას ვერაფერი იპყრობს; სარაყამიშს რომ გამოსცილდებით 7—8 ვერსს, შემდეგ აღარც ბუნება გატკბობთ. ან როგორ უნდა დაგატკბოთ მოტიტვლებულმა მინდვრებმა და ხრიოკმა კლდეებმა, სადაც ერთ ძირ მცენარესაც ვერ შეხვდებით!

დ. ქარცივაძე.

რუსეთი

25 წელიწადი შესრულდა უკვე მას შემდეგ რაც დაარსდა პეტერბურგის უმაღლესი დედათა კურსები. 9 ნოემბერს აპირობენ დიდის ამბით იდღესასწაულონ ეს ამბავი.

— სამხრეთ გუბერნიებიდან დიდ-ძალი ხალხი ეტანება გადასახლებას ციმბირისაკენ.

— პეტერბურგის ქალაქპეტმა უმზგავსო საქციელისათვის ქუჩაში ერთს გადუწყვიტა 400 მან. ჯარიმა ან 10 კვირით დაპატიმრება, ხოლო მეორეს 300 მან. ჯარიმა ან დაპატიმრება ორის თვით.

— ორენბურგის გუბერნიის სოფლის მასწავლებლებს განუზრახავთ სამარხო კასის მიზგავსებული საურთიერთო დახმარების დაწესებულება დაარსონ. ამავე მასწავლებლებს უნდათ მოაგვარონ საქმე თვით განვითარებისა ბიბლიოთეკების დაარსების შემწეობით.

— ვორონეჟში და მის ახლო-მახლო გავრცელებულია სახადი.

— რუსეთის მუსიკალურს საზოგადოებას მიეცემა სამერმისოდ შესაწევრად 50,000 მან. მუსიკალურ სასწავლებელთა დასახმარებლად, ხოლო საგეოგრაფიო საზოგადოებას — 60,000 მანათზედ მეტი—საკუთარის შენობის ასაგებად. ამას გარდა სახუროთ მოძღვრო საზოგადოებას—3000 მან. ჟურნალ „Зодчій“-ს გამოსაცემად და 4500 ჟურნალ «Вѣстникъ общ. гигіены, судеб. и практ. медицины“-ს რედაქციას.

უცხოეთი

ინგლისი. გაზ. „დაილი ექსპრ.“-ის სიტყვით, „Bakn of Africa“-ს უკანასკნელ კრებაზედ ლონდონში ფლემინგ ბლესმა აღნიშნა, რომ მუშათა საკითხი დიდად აფერხებს სამხრეთ-აფრიკის საქმეებსაო. ადგილობრივ მკვიდრთა შორის არ მოიპოვება საკმაო რიცხვი მუშათა; ამიტომ საჭიროა უცხო ქვეყნებიდგან მაინც მოვიზიდოთ მუშები, თუ არა გვსურს, რომ სამხრეთ-აფრიკის ეკონომიური განვითარება შეფერხდესო. მოსული მუშები გაანთავისუფლებენ მღვიმე-მაღაროების მუშებს, რომელნიც რკინის გზებისათვის არიან საჭირონი; მეორეს მხრით, დიდად საჭიროა, რომ ფერმების მუშები თავს არ ანებებდნენ ფერმებსა და მღვიმე მაღაროებში არ მიდიოდნენ სამუშაოდაო.

— ინგლისის გაზეთებში ბევრსა ლაპარაკობენ იმ მომავალ სიტყვის შესახებ, რომელიც ჩემბერლენმა უნდა წარმოსთქვას ქალ. გლაზგოში. გაზეთების სიტყვით, გლაზგოში თავმოყრილი კრებას წარედგინება შემდეგი რეზოლიუცია: „ეხლანდელი კრება დიდ მადლობასა სწირავს ჩემბერლენს საზოგადო ბედნიერების ერგულობისა და კეთილნაყოფიერ ღვაწლისათვის; კრება სავსებით ემხრობა მთავრობის აზრსა, რომ დროა შეიცვალოს ინგლისის საფინანსო პოლიტიკაო.“

ამას წინად ჩემბერლენს ერთ-ერთ თავის წერილში განუცხადებია, რომ ის ცვლილება საფინანსო პოლიტიკისა, რომლის განხორციელებაც მან განიზრახა, მეტად სასარგებლო იქნება მუშა ხალხისათვისაო. მარტო აღებ-მიცემობა და მრეწველობა ველარ დააკმაყოფილებს ინგლისის მშრომელ ხალხსა, რომელიც დღითი-დღე მრავლდება, თუ ძველი საფინანსო სისტემა არ შეიცვალაო, ირწმუნება—თურმე ჩემბერლენი.

— ბალფურის კაბინეთის ახალი წევრთა დანიშნას ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა გულგრილად მიეგება. იმ კაცთა არჩევანმა ისეთ პასუხსაგებ თანამდებობაზედ, როგორიცაა მინისტრი ინდოეთისა და ახალშენთა, დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ინდოეთის მინისტრად ბროდრიკის დანიშვნის გამო ინდოეთსა და ინგლისში წინააღმდეგობა განაცხადეს. როგორც ინგლისური გაზეთები იუწყება, კაბინეთის წევრებმა რომ სამსახურს თავი დაანებეს, ინდოეთში ხმა გავრცელდა,—ინდოეთის მინისტრად ბროდრიკსა ჰნიშნავენო; ამ ამბავმა ხალხი დიდად აალელვა. გაზეთები გაკვირვებულნია,—როგორ უნდა შეასრულოს ბროდრიკმა ისეთი საძნელო თანამდებობა, როგორიცაა ინდოეთის მინისტრობა, როდესაც სამხედრო სამინისტროს მართვის ნიჭი და შნოც-კი არა ჰქონდაო; ინდოეთის მინისტრად უნდა იყოს ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს საქმის რიგიანად მოწყობაო. ალფრედ ლიტლტონის ჩემბერლენის მოადგილედ დანიშვნასაც დიდი მითქმა-მოთქმა მჰყვა. გაზ. «სტანდარტი»-ი ამ დანიშნულებას დაცინვადა სთვლის. „არ ვიცით, რა მიზეზიაო,—შენიშნავს გაზეთი,—რომ პატივის მოყვარე და ადმინისტრაციაში გამოუცდელი ვექილი ლიტლტონი, რომელსაც ჯერ თვალსაჩინო თანამდებობა არა სჭერია არც პარლამენტსა და არც სამოსამართლო დაწესებულებებში, ასე უცბად დაინიშნა იმპერიის ერთს დიდ მნიშვნელოვან თანამდებობაზედ. ჩემბერლენისა და მილნერის შემდეგ, რომელმაც უარი განაცხადა ახალშენთა მინისტრობაზედ, ლიტლტონის გამწესება ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი საქმეაო. მისი უდიდესი ღვაწლი ტენნისის თამაშობა იყოო“.

შემდეგ «სტანდარტი» აღნიშნავს, რომ ახლანდელი მდგომარეობა უნიონისტთა დაცემას ჰნიშნავსო.

„ექვსის თვის წინადაო,—სწერს კონსერვატორთა ორგანო,—მმართველობას სათავეში მძლავრი უნიონისტთა მთავრობა უდგა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მკვიდრად შეკავშირებული უმეტესობა; ახლა-კი სამინისტრო დაიშალა და მთელი დასი აირ-დაირიაო“...

ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან,—ლიტლტონი ჩემბერლენისა და მილნერის წინადადებისამებრ დაინიშნა მინისტრად. ლიტლტონი სამხრეთ-აფრიკის მუშათა-მაღნეთა კონცესიის კომისიონერი იყო; კარგად იცის სამხრეთ-აფრიკის მდგომარეობა და დიდის სიამოვნებითაც მიემხრობა ჩემბერლენსა და მილნერსაო. „ტაიმს“-ი ლიტლტონის დანიშვნას დიდად შეცდომადა სთვლის.

აუსტინ ჩემბერლენის ფინანსთა მინისტრად დანიშვნა ყველა გაზეთებს მიაჩნია იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ იოსებ ჩემბერლენი ისევ კაბინეტის ხელმძღვანელად და სულის ჩამდგმელად დარჩებაო.

სები არწმუნებენ პროვინციის მცხოვრებთ, რომ პიესას ვითამაშებთ სწორედ ისე, როგორც ჰთამაშობენ ლონდონშიო.

დრამის განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სხვა-და-სხვა „მოდის“ საზოგადოებანი, რომელნიც წინად თეატრში არ შევიდოდნენ, თუნდა ქუდიც შეეგდოთ, თანდათან შეურიგდნენ თეატრს. მას შემდეგ, რაც თეატრში ადგილები გააძვირეს, ერის კაცებმა თავიანთ წმინდა მოვალეობად დასახეს, რომ სეზონის ყველა ახალ-ახალი პიესა უთუოდ ენახათ და დაეფასებინათ. სამოც და ათიანის წლების ბოლოს-კი გამოჩნდა პირველი კარგი ნიმუშები ინგლისის დრამისა; ასეთი იყო განსაკუთრებით პინეროს პიესები. უფრო გვიან, ოთხმოციან წლებში, ჰენრიკ იბსენისა და ანტუანის „თავისუფალის თეატრის“ გავლენით, დაიწყეს წერა საზრიანის, შინაარსიანის დრამებისა. აქ არჩერმა დიდი მნიშვნელობა მისცა პინეროს კომედიას „second Mrs. Fankeray“-ს, ინგლისის სადრამო ისტორიაში ახალი ხანა დადგაო. დასასრულ არჩერი ამბობს,—სასურველია თეატრებს სუბსიდია (შემწეობა ხაზინიდგან) ეძლეოდეთ და მეტად ცუდია, თუ ერთსა და იმავე პიესას წარმოადგენენ ასჯერ და ორასჯერ ზედიზედაო. არჩერი მაინც კმაყოფილია ინგლისის დრამით,—საფრანგეთისა და გერმანიის დრამატიულ ნაწარმოებთ არ ჩამოუვარდება ინგლისის დრამატიული მწერლობაო.

მომხსენებელს კამათის დროს არც ერთმა ხსენებულ საზოგადოების წევრთაგანმა არავითარი თანაგრძნობა არ გამოუცხადა. ყველანი, ვინც-კი ლაპარაკობდა, კარგის აზრისანი არ იყვნენ ინგლისის ეხლანდელ სცენაზედ. ფაბიანელთ ისე არაფერი იზიდავს, როგორც თავიანთი საზოგადოება; მათის აზრით, ყველა დანარჩენი საზოგადოებანი ანუ დაწესებულებანი, როგორიც უნდა იყოს იგი, ფაბიანელთა საზოგადოებაზედ „უსათუოდ დაბლა“ სდგას... თითქმის ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ სანამ არ ამაღლდება და გაიანასწორდება საზოგადოების მოთხოვნილებანი, თეატრის გაუმჯობესება შეუძლებელიაო.

ამის გამო შოუმ მკვეთრი პასუხი მისცა არჩერს პინეროს შესახებ; ამ პასუხმა მეტად გააწიწმატა ერთი გასათხოვარი ქალი. მან გულ-ფიცხად განაცხადა, რომ ამ პიესაში პინერო შეეხო ერთ მეტისმეტად საყურადღებო და საპატიო საკითხს — სქესობრივსო. პინერომ დიდი კამბედაობა გამოიჩინა, როცა ამნაირი საკითხი დაუყენა თვალ-წინ ინგლისის საზოგადოებასო. საქმე იმაშია, რომ პინერო ამბობს,—შეუძლიან თუ არა რიგიანმა კაცმა შეირთოს კარგი ლამაზი ქალი, რომელსაც საძრახისი წარსული ჰქონია ოდესმე, და თვითვე უგებს პასუხს,— არა, არ შეძლებიაო. მერე როცა არჩერმა მიუთითა იმ გარემოებაზედ, რომ შოუმ სიყვარული თავისს საუბარში აითვალწუნა და შეურაცხჰყო მაშინ, როდესაც მისი პიესები სიყვარულით სავსე ისტორიებითაა სავსეო, გასათხოვარმა ქალმა თანაგრძნობით გადაიხარხარა...

შოუ მხარს უჭერდა დრამატურგს ჯონსს და ამის გამო დიდი განსაცდელიც გამოიარა, ბევრი უკიჟინეს. შეიქნა ერთი ორომტრიალი და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, როგორც იქმნა, დაწყნარდნენ. მაშინ ერთმა ჯენტლმენმა განაცხადა,—პინეროს მომხრე და ქომაგი არა ვარ, მაგრამ ჯონსი მაინც არა სჯობსო და ამიტომ ჯონსს, პინეროზედ წინ ვერ დავაყენებთო. ინგლისელ განათლებულ კაცისთვის თეატრში სიარული სათაკილოა და უმართებულოაო. ერთად-ერთი საშუალება თეატრის გასპეტაკებისა არის—სცენიდგან საზოგადოდ ყოველგვარ სიყვარულის განდევნაო,—დაბოლოვა სიტყვა „განათლებულმა“ ჯენტლმენმა.

მოკლედ ასეთია გამოურკვეველი გეგმა და პროგრამა ფაბიანელთა „პოლიტიკურ“ საზოგადოებისა.

⁂

ახლია დავანებოთ თავი ფაბიანელთ, გადავიდეთ ამერიკაში და ცოტა რამ შეერთებულ შტატების პრეზიდენტ თეოდორ რუზველტზედ ვსთქვათ.

რუზველტის შესახებ გაზეთები მეტად საყურადღებო ცნობებს იუწყებიან: უნივერსიტეტი თეოდორ რუზველტმა 23 წლისამ გაათავა ქ. ბოსტონს. გათავების შემდეგ დასტოვა აღმზრდელი ქალაქი და წავიდა შტატების ველურ პროვინციაში — ჩრდილოეთ დიკოტს, სადაც იურისტმა ხელობად გაიხადა... მწყემსობა და ნადირობა!.. მამა თეოდორ რუზველტისა ბანკირი იყო. რუზველტი თავის ნებით განშორდა ბრწყინვალე საზოგადოებას; თავის მამის ბანკს—„მდიდარ დამნაშავეთა კლასს“ ეძახდა. რუზველტის აზრით, მდიდარი, რაც უნდა პატიოსნად ითვლებოდეს საზოგადოების თვალში, მაინც დამნაშავეა, იმიტომ რომ—მდიდარიაო!..

ევროპაში რომ ყოფილიყო ახალგაზდა რუზველტი და ისე მოქცეულიყო, როგორც ამერიკაში მოიქცა, ყველას გააკვირვებდა მისი საქციელი, ყველასათვის გაუგებარი იქნებოდა მისი მოქმედება და იტყოდნენ,—რად მოიქცა ასე ისეთი კაცი, რომელსაც უნივერსიტეტი გაუთავებია და დიპლომიც ჯიბეში უდევსო; რა დაინახა ამ მწყემსობაში ახალგაზდა იურისტმა, ან კიდევ ნადირობაში, რომ ამისთვის ველურ ქვეყანას მიაშურაო. ზოგიერთი უკბილო ოხუნჯები-კი ამასაც დაუმატებდნენ,—იქნება პირუტყვებსა და ნადირებსაც დასჭირდათ „ადვოკატი“ და რუზველტმა უნდა დაიცვას მათი ინტერესებიო!..

შეიძლება ამაზედ უარესიც ეთქვათ და გაეკილათ ახალგაზდა რუზველტი, მხოლოდ, რასაკვირველია, არა ამერიკაში; მაგრამ საქმეს რომ „ამერიკულის თვალით“ შევხედოთ, აქ არაფერი გასაკვირველი არ არის; ხომ მოგეხსენებათ,— „კაცია და გუნებაო“,—ასე იყო იმისი სურვილი და ასეც მოიქცა. ანკი რად უნდა გაუკვირდეს ვისმე, რომ ახალგაზდა რუზველტმა არ ამოირჩია სადმე ადამიანისტრაციაში ბრწყინვალე „ჩინოვნიკობა“ და უბრალო მწყემს-მონადირედ ყოფნა ამჯობინა, ნახევრად ველურ ხალხთა მეზობლად?.. რუზველტი რომ ევროპაში ყოფილიყო და თან ჯიბეში უნივერსიტეტის დიპლომიც ჰქონოდა, ეჭვი არაა, შერცხვებოდა მწყემსობა და უბრალო მონადირეობა, მაგრამ ამერიკაში სულ სხვაა. იქ ყველაფერი შესაძლებელია, ოღონდ-კი შრომით იცხოვროს ადამიანმა...

ერთხელ სანადიროდ წავიდა რუზველტი მარტოდ მარტო; უცბად დაბნელდა ბურუსისაკან. მან დაკარგა ბილიკები და თავის კარავს ვერ მიაგნო. რის ვაი-ვაგლახის შემდეგ, წააწყდა, როგორც იყო, ერთის ველურის გამოქვაბულს. მიესალმა ველურს ზანგს და სთხოვა—ღამე გამათევინეო. ზანგმა სიამოვნებით მიიღო სტუმარი და თუმცა, ველურ ზანგთან ღამის გათევა თეთრ კანიანისთვის და საზოგადოდ, უცხოსთვის ძნელი გასაბედავია, მაინც რუზველტი ოდნავადაც არ შეშინებულა. იმ ღამეს ისეთ ნაირად გაართო რუზველტმა ზანგი, რომ თქვენი მოწონებული. „რითაო“,—იკითხავთ. რითა და რუზველტი წინდახედული კაცი გამოდგა, თურმე ჯიბეში სახარება ჰქონოდა, ამოიღო და დაიწყო კითხვა. ზანგი გაშტერდა, როდესაც წიგნი დაინახა და ჰკითხა:

— რა არის ესაო.

— ჯერ შენ, ჰგონი, არც-კი გინახავს შენს სიცოცხლეში დაბეჭდილი წიგნი,—უთხრა რუზველტმა ზანგს და უკითხავდა მთელს ღამეს სახარებას.

რუზველტს საკუთარი თხუზულებანიც აქვს. მის ერთ ბროშურაში, სახელდობრ „ცხოვრება რანჩოში“ აწერილი აქვს, ყოველთ უწინარეს, თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს წიგნი რუზველტის ვრცელი ბიოგრაფიაა. რომ წაიკითხოთ, არ შეიძლება ძალაუნებურად არა სთქვათ,— „რა გასაოცარი კაცი ყოფილაო“.

დ. ჯ—ი.

ნარკვევი

აი როგორ ახასიათებს ბ-ნი მენშიკოვი ფრანგებს:

ფრანგნი პატივსა სცემენ თავიანთ თავს. რადგან უნდათ გლახაკნი იყვნენ, მუქთახორანი, მონანი და ყმანი თვისთა მეფეთა, ყოველის ძალ-ღონით სცდილობენ დაიცვან თვისი ღირსება და თავისუფლება. თავიანთ შორისავე, თავიანთ მხნეობაში უნდათ ჰპოვონ ამისათვის საკმაო ღონისძიება...

ფრანგზე უკეთესი პირის პატივი ვინ იცის? ვინ გაიშლის უკეთეს სუფრას, ვის აქვს ყოვლად საღი, ახალ-ახალი, მსუბუქი და ან უხვი სანოვაგე სუფრაზე?

საფრანგეთის ფული და თანხა განაწილებულია წვრიმალ ბურჟუაზიისა და მდიდარ გლეხთა სიმრავლეში: ეს ფული და თანხა არა მარტო ფასიან ქაღალდებად უწყვიათ, არამედ უმთავრესად ქვეყნის კულტურაშია ჩაბანდებული; მრავალი შექმნილი საქონელი, იარაღი, ბაღი და ვენახია გაკეთებული და მორთული საოცარის ხელოვნებით, საზოგადო სახლებია აგებული, გზებია გაყვანილი ისეთი, რომ სულ კრიალი გააქვთ. ყოველ ამის გამო, ქვეყანა სწრაფად იშორებს თავიდან ყოველივე სიბინძურეს: გლახა სახლებს, უმსგავს ავეჯს, ცუდს ჩასაცმელ-დასახურს, ხრიოკსა და ჭაობ-ჭანჭრობს, უვარგისს სოფლის გზებს, გამხდარს საქონელს, ავადმყოფ, მახინჯსა და მაიმახ მკვიდრს. ბუნებაცა, ნივთი და ავეჯიცა, საქონელიცა და ხალხიც—ყოველივე თანდათან უკეთესდება, ურჩეულესდება, ზორბავდება, ლამაზდება, და ბოლოს ბედნიერდება. ბოგანოობა და ტაბარუკობა—ეს ნაანდერძევი წარსულთა საუკუნეთა—სისწრაფით მცირდება, შეძლებული უმცირესობა მატულობს.

—

საინტერესოა აზრი «ვარშავ. დნევ.»-სა გენერალ დრაგომიროვის დანიშვნის შესახებ სახელმწიფო საბჭოს წევრად.

შეიძლება გვიფიქროთ და უნდა იმედიც ვიქონიოთ, სამხედრო ასპარეზი გენერალის დრაგომიროვისა დამთავრდაო,--ამბობს გაზეთი.---ახლა მის წინ იშლება ახალი, უფრო ვრცელი ასპარეზი ცხოვრების ცოდნისა, გამოცდილებისა და სახელმწიფო ჭკუისა. დრაგომიროვი გადადის ახლა პეტერბურგს, რომელიც არის გონებრივი ცენტრი რუსეთისა, შედის ისეთს სფერაში, სადაც მის გონებრივს ძალ-ღონეს უფრო მეტად შეეძლება ფრთის გაშლა. სახელმწიფო საბჭო—ეგ ჩვენის სახელმწიფო სიბრძნის სალარო და ამ სალაროში დრაგომიროვი ძვირფასი თვალი იქნება.

სამხედრო კაცმა გალეწა თვისი კალო, ხოლო ჭკვიანს კაცს ჯერ კიდევ ბევრი ექმნება სალეწი.

სხვაფრივ, სხვა კილოზედ ვერც ილაპარაკებს ზემოხსენებული გაზეთი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 2 ოკდომბერს, თავად-აზნაურთა თეატრში, ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებმა წარმოადგინეს შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, თარგმანი კ. მესხისა. როდესაც შექსპირს დაგვისახელებენ ჩვენი არტისტები, ცოტა არ იყოს, შიში და ეჭვი გვებადება, სად შექსპირი და სად ჩვენი თეატრიო, მაგრამ, სასიამოვნოდ, უნდა ვაღიაროთ, ამ გზობით შიში და ეჭვი არტისტების პირველ გამოსვლაზედვე განიბნა. როგორც თეატრის მოწყობილობა, ისე არტისტთა ტანთ-საცმელი და თამაში არაჩვეულებრივად ჩინებული იყო. ახალ რეჟისორის მცოდნე და მადლიანმა ხელმა სრულიად გარდაქმნა ჩვენი თეატრი. აქამომდე თუ სირცხვილის ოფლში ვიწურებოდით, უცხომ არავინ შემოიხედოს ჩვენს თეატრშიო, ეხლა მოსარიდებელი აღარა გვაქვს-რა. მართალია, ჩვენი თეატრი გარეგნობით ვერ დაედრება აქაურ ახალ და მდიდარ თეატრებს, მაგრამ თვით საქმე, წარმოდგენები, ჯერ-ჯერობით თუ უკეთ არა, სხვაზე ცუდად არ მიდის.

შექსპირის კომედია ისე მწყობრად ითამაშეს, რომ ყველა გაოცებული დარჩა. საუცხოვო, შეუდარებელი იყო კ. მესხი, მომჭკვიანებელი ჭირვეულის ცოლისა, რომელსაც ყველა ყმაწვილი კაცი გაურბოდა და ვერ ბედავდა შერთვას ქალის სიკაპასისა გამო. კარგი იყო ქ-ნი კარგარეთელი თავნება, ჭირვეულ, კაპას გასათხოვარ ქალისა და ბოლოს კრავსავით მორჩილ ცოლის როლში. ხელოვნურად, ნამდვილის კომიზმით და გადაუქარბებლად შეასრულა მსახურის როლი ბ-ნმა გედევანოვმა. ურიგო არ ითქმის სხვა მოთამაშეთა შესახებ. ერთის სიტყვით, იშვიათის ანსამბლით ითამაშეს დიდებულ ავტორის პიესა და საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა. ღმერთმა ჰქნას, ჩვენის თეატრის საქმე ასე მწყობრად მიმდინარეობდეს; სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება დააფასებს ჩვენის სცენის მოღვაწეთა შრომას და თავის ყურადღებას არ მოაკლებს.

—

რუსული დრამა. დრამაში „უზარის რეკოდ“ (Безъ колокольнаго звона) სადრამო არა არის-რა. ტყუილად დაუხარჯავს მის ავტორს ამდენი თოფის წამალი და ხუთ მოქმედებიან დრამად გაუქიანურებია ის, რაც არავისათვის საგულისხმო არ არის. მეორე შეცდომა კიდევ ბ-ნ კრასოვს მოუვიდა, რომ ეს მითომ და დრამა დასდგა სცენაზე, ზედ შეალია მსახიობთა ძალ-ღონე და საზოგადოების ყურადღება მთელის ოთხის საათის განმავლობაში. დარწმუნებული უნდა იყოს ბ-ნი კრასოვი, რომ ამგვარის პიესებით ხალხს გულს აუცრუებს თეატრში სიარულზე.

რაც შეეხება მსახიობთ, ღვთის წინაშე, უნდა ვთქვათ, რომ მათ ყოველი ღონისძიება მოიხმარეს ავტორის მიერ წამხდარი საქმე მოევარგისებინათ. ქ-ნ ტერეხოვის გრძნობით გამსჭვალული და ბ-ნ გარდინის გონიერი აწონილ-დაწონილი თამაში რომ გენახათ, იტყოდით ეს კვამლი კი სჩანს, მაგრამ ცეცხლი არსად არისო.

მშვენიერი რამ იყო ბ-ნი როსატოვი მდიდარ ნემეც გლეხის კრეშტმანის როლში. თითოეული მისი სიტყვა, მიხვრა-მოხვრა, სახის მოძრაობა—მჭევრ-მეტყველი სურათი იყო კრეშტმანის მედგარ ხასიათისა და ღრმა გულისა, რომელიც გამოუქედავს დაუდეგარ ბრძოლას ცხოვრებასთან, და ამ ცხოვრებაზედ გამარჯვებისა.

ბ-ნის კრასოვის ლაპარაკი,—ცოტა კიდევ რომ ხმა მეეკიდებინა,--ნამდვილი სიმღერა გამოვიდოდა. დავარწმუნებ ბ-ნ კრასოვს, რომ მისებრ დეკლამაციით არავინ ლაპარაკობს, თვით პასტორიც-კი, თუნდა შეყვარებულიც იყოს იგი!

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი „უბის წიგნი“, რომელმაც მოწყენილი საზოგადოება ძალიან გაამხიარულა.

—

რუსული ოპერა. გუშინწინდელი წარმოდგენა „ევგენი ონეგინისა“ ნამდვილი დღესასწაული იყო ბ-ნის ევლახოვისათვის, რომელიც ონეგინის პარტიას მღეროდა სასიამოვნო ჟღერით მგზნებარე ხმა, საკმაო ძლიერებისა მაღალ ფარდებში, გარკვეული დიქცია და გონიერი „ფრაზიროვკა“, გაბედული (მეორე სურათიდან) მოძრაობა სცენაზედ, სურათოვანი მიხვრა-მოხვრა (განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში)—ყველა ეს ერთად აღებული ხელს უწყობდა მომღერალ-მსახიობს ნიშანდობლივ გაეპიროვნებინა ონეგინი სცენაზედ. საზოგადოება იმდენად კმაყოფილი დარჩა მისის ონეგინობით, რომ სამჯერ ათქმევინა მესამე მოქმედების კაეშნით გამსჭვალული ჰანგი „ეჭვი აღარ არის“ და ისედაც მრავალჯერ გამოიხმო.

რაღა თქმა უნდა, რომ მშვენიერზედ მშვენიერი იყო ჯადოსანი ფიგნერი პოეტ ლენსკის პარტიაში. საკვირველის ხელოვნებით და ხმის საკმაო ძლიერებით სთქვა მან შესანიშნავი ჰანგი მეხუთე სურათისა „სად, სად განვედით, დღენო გაზაფხულისა“.

ამათ ხელს უწყობდნენ ქ-ნი ენე-რადინა (ტატიანა) და ბ-ნი ფეოდოროვი (გრემინი), მხოლოდ ქ-ნი როდიონოვისა (ოლგა) საკმაოდ მოისუსტებდა და ერთ ადგილას (მეოთხე სურათი) უდრო-უდროოდ აპირებდა სიმღერის დაწყებას, მაგრამ ბ-ნმა ფიგნერმა დროზედ შეაწყვეტინა.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

„ივერიის“ ფოსტა

ი. მარტვილელს თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

ქუთაისი. ერთ ამ მცხოვრებთაგანს. შეგვატყობინეთ თქვენი სახელი და გვარი. უამისოდ თქვენის წერილის დაბეჭდვა არ მოხერხდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ოკდომბერი.

რომი. ხელმწიფე იმპერატორის წერილში იტალიის მეფესთან, რომელიც მას გარდასცა თავადმა დოლგორუკმა, ნახმარია შემდეგი ფრაზა: «მე ვსწუხვარ, რომ გადავსდე სხვა დრომდე რომს მოსვლა; მსურს, რომ ეს დრო მალე დადგეს».

ბელგრადი. სკუპშჩინას სესსია დაიწყო. პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს სტოიანოვიჩი. ადრესის პროექტში ნათქვამია, სკუპშჩინა ბედნიერია, რომ მეფის სურვილი ეთანხმება ერის სურვილსა და რომ ერი ზრუნავს დაცულ იქმნას სერბიასა და რუსეთს შორის კავშირი, რომელიც ერთად ერთი სარწმუნო თავმდებია სლავიანთა ერების საუკეთესო მომავლისა.

ტოკიო. რუსეთსა და იაპონიას შორის ისევ არის მოლაპარაკება. ეხლა ეჭვი აღარაა რომ მორიგება მშვიდობით დაბოლოვდება. გამოირკვა, რომ ითნგამპოში რუსეთს სიმაგრე-კი არ აუშენებიათ, არამედ სანიშნო სადგური ანტუნთან მიმოსვლისათვის.

ვაშინგტონი. სამხედრო სამინისტრომ უბრძანა შანხაიში ორს მყოფს ამერიკის ნაღმის გემს, რომ ფორმოზაში წავიდნენ და იქ მოუცადონ შემდეგს განკარგულებასაო.

3 ოკდომბერი.

ასხაბადი. მეშხედში მყოფი რუსეთის მთავარი კონსული იუწყება, შაჰმა განკარგულება მოახდინა, რომ აღკრძალულ იქმნას საზღვარ-გარედ ცხვრების გადარეკა და ერბოს გაზიდვა ხორასნიდანა და სეისტანიდანაო. შაჰის განკარგულება ძალაში შევა 19 ოკდომბრიდან.

ვლადიმირი. ვლადიმირის სამაზრო ერობამ სურვილი გამოსთქვა დაკლებულ იქმნას საარჩევნო ცენზი სოფლად 100 დესეტინამდე, ხოლო ქალაქის ქონებაზე-კი 10,000 მანეთამდე. ერობამ გადასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ, რომ ქალებსაც შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონო.

სოფია. საზღვარზე ახალი ინციდენტი განმეორდა: ოსმალთა რაზმი იმ აჯანყებულთ, სდევნიდა, რომელნიც თავშესაფარს ბულგარიაში ეძებდნენ, და გაჩნდა დემირსოგოვს ახლო-მახლო, სამოკოვის ოლქში, ბულგარიის ტერრიტორიაზე, სადაც შებრძოლება მოუხდათ აჯანყებულებთან. ბულგარიის ბანაკის ჯარისკაცები ბრძოლაში ჩაერივნენ და რამდენიმე მოკლული და 5 კაცი დაჭრილი.

სათადარიგო ჯარებს დაითხოვენ თავთავიანთ სახლში 10 ოკდომბერს.

პეტკოვმა პრივინციებიდან დაბრუნებისათანავე მოახსენა მთავრობას, რომ მთავრობის გამარჯვება უზრუნველყოფილია და აუცილებელიო. პეტკოვს განზრახვა აქვს ეხლა სამხრეთ ბულგარიაში იმოგზაუროს. სამინისტროში სრული თანხმობა ჰსუფევს.

სტანჩოვი მოვიდა აქ ცოლშვილითურთ დროებით. ნოემბრის დასაწყისს-კი სტანჩოვი ისევ თავისს ადგილზე დაბრუნდება.

პეტერბურგის ბირჟა 2 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,57^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	.5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	$95^{1}/_{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	$443^{1}/_{4}$ მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$333^{1}/_{4}$ წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	283 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$91^{3}/_{8}$
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^{1}/_{2}$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სა. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9100 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	372 მც. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185 მც. მყიდ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს; 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 1 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

—

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

—

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის მარგანეცის სამრეწველო კრებულის რჩევა ამით აცხადებს, რომ 9 ოკდომბერს ამა წლისა შუადღის 12 საათზედ, რჩევის სადგომში, ქ. ქუთაისს, დანიშნულია ვაჭრობა, რათა იჯარით გაიცეს მუშაობა ხიდის გადებისა მდინარე ყვირილაზე, ჩიკორთან, ჭიათურის ნაწილში. იჯარის პირობები მსურველთ შეუძლიან გაიგოს კრებულის რჩევის კანცელარიაში.

1—ნ.—1

იაფ-ფასიანი ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებისა“

პირველი იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 98.

მეორე—ვერაზედ, ოლგინის ქუჩ., № 22.

სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილით 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.

კვირა უქმეობით 11—1 საათამდე.

სამკითხველოში მოიპოვება, გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალებიც.

(5—უ—1)

ამერიკის ვაზის პიტომნიკი

ს. კარალეთი, გორის მაზრა, 7 ვერსზედ გორიდან, თ-დ მიხეილ რევაზის-ძე ერისთავის მამულში იყიდება ერთის წლის ნამყენი ამერიკის ვაზზედ, რუპრესტრის მანტიკულაზედ, კახური ჯიშები—რქა-წითელი და საფერავი.

1000 ძირი—80 მანათი.

სანამყნე ფესვიანი ამერიკის ვაზი რუპრესტრის მანტიკულა

1000 ძირი—20 მანათი.

(4—28—1)

ხესილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად ფარსადან იაკ. აგსარქისოვის მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—სკრა კავ. რკ.-გზის სადგური. ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—11)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების ზნითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსთან (მუხრანის ქუჩა) დაწესდა ტფილისის ბებიათა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების მიერ მორიგეობა ბებიებისა, რათა ყოველ ჟამს, დღისით თუ ღამე, მშობიარეთა და ორსულთ ხელი შეუწყონ. რჩევისათვის და პირველ დახმარებისათვის 1 მანეთი უნდა შეიტანონ. ეს ფული აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოდ კასსაში ჩაითვლება; ამასთანავე მორიგობა დააწესა საზოგადოებამ ოლგას სახელობის ბებიათა ინსტიტუტთან. (3—უ—2)

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44

(50—30)

Дозволено цензурою, Тифлисъ. 3 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи ოებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.